www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

აგვისტო 2025

30.09.2025
www.geostat.ge

30.09.2025

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, აგვისტო 2025

წინასწარი შეფასებით, 2025 წლის აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 6.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2025 წლის პირველი რვა თვის საშუალო მაჩვენებელი 7.9 პროცენტით განისაზღვრა.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2025 წელი
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)



2025 წლის აგვისტოში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ენერგეტიკა და ვაჭრობა.

კლების ტენდენცია დაფიქსირდა მშენებლობის და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში.

30.09.2025

ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

აგვისტო 2025

ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	წინა წლის შესაბამის თვესთან	წინა თვესთან
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI)	104.6	100.3
სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (PPI)	103.8	100.1

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები
იანვარი - აგვისტო 2025

მაჩვენებელი	მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან)
საქონლის ექსპორტი (FOB)	4 448.2	6.7
საქონლის იმპორტი (CIF)	11 802.7	9.7
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	16 250.8	8.8

საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2025 წელი
(მლნ. აშშ დოლარი)



შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

30.09.2025

სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები, 2025 წელი

მაჩვენებელი	აგვისტო
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	4 632
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	-18.5
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი)	15 296.5
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	9.0

დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2025 წელი (%)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2025 წელი
(მლნ.ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება*, 2025 წელი
(მლნ. ლარი)



*წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

საკონტაქტო პირები:

მაკა კალანდარიშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge